ოქმი:**ო05. 3725118001**

თარიღი:**28/04/2025**

ოქმი N 2
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

2025 წელი, 28 აპრილი
ქ. ოზურგეთი

13:30 -14:00 საათი

თავმჯდომარეობდა: პაატა კიღურაძე- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ე. გორდელაძე, ნ. მახარაძე, ხ. ცერცვაძე, გ. მდინარაძე, ნ. ქარჩავა, დ. მჟავანაძე, ნ. ნადირაშვილი, გ. კილაძე, მ.ჩხიკვიშვილი, ვ. ნიჟარაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ.

მომხსენებელი: პ. კიღურაძე

თანამომხსენებელი: პ. ჭყონია

სხდომის თავმჯდომარემ პ. კიღურაძემ აღნიშნა, რომ ანგარიში წარმოდგენილია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 87-მუხლის შესაბამისად და ვადებში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 4 მარტის N 4 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით. კომისიის წევრებს მოკლედ მოახსენა მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების ძირითად პარამეტრებზე, შემოსავლებსა და ხარჯებზე, ხოლო ვრცელი ინფორმაცია გააკეთა თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ, რომელმაც ისაუბრა შემოსავლებზე, ხარჯებზე, გრანტებსა და ა.შ. შემდეგ კონკრეტულად განიხილა თითოეული პროგრამისა და ქვეპროგრამის შესრულების მაჩვენებლები. ისაუბრა სარეზერვო ფონდის ხარჯვაზე, არსებულ ნაშთებზე, რომელიც გასული წლის შესაბამის მაჩვენებელზე მნიშვნელოვნად ნაკლებია მაგრამ მაინც საყურადღებოა. შემოსავლების გეგმა შესრულებულია 101,4%, ხარჯების- 90,5%, ანგარიშის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. სხდომის თავმჯდომარემ პ. კიღურაძემ კომისიის წევრებს გააცნო სამუშაო ჯგუფის მიერ გაკეთებული დასკვნის პროექტი. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და აღნიშნეს, რომ გამოვლენილი ხარვეზები არაა არსებითი ხასიათის, მიზანშეწონილად მიიჩნიეს ანგარიშის სარებულოს სხდომაზე წარდგენა განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

პაატა კიღურაძე

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი